

## ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულ მამია გურიელის #2173 ხელნაწერების ენობრივი ანალიზი

**მანანა მიქაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო

e-mail:manana-mikadze@rambler.ru

ORCID 0000-0001-8490-4813

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.27>

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულია ხელნაწერთა დიდი რაოდენობა, რომლებიც ნაწილობრივ შესწავლილია, ნაწილობრივ შეუსწავლელი.

მუზეუმის ხელნაწერებში კირილე ლორთქიფინაძის ფონდს რამდენიმე წელი დავუთმეთ შესასწავლად, გვინდა ფონდიდან მამია გურიელის ნაწერებს დავუთმოთ ყურადღება, რომლებიც ძირითადად XIX საუკუნის II ნახევარშია (1865-1880) შესრულებული, საინტერესოა მათი ენობრივი ანალიზი.

XIX საუკუნის პოეტი მამია გურიელი შეძლებული ოჯახის შვილი იყო, იგი 15 წლამდე სოფელში იზრდებოდა, მისთვის ქეიფი, ნადირობა გახლდათ დროის მოკვლის ძირითადი საშუალება. ნიჭიერ კაცს არც ოჯახმა გაუმართლა, მეუღლეს დაშორდა, ერთადერთმა შვილმა კახაბერმა თავი მოიკლა, ერთდროს თავის ნაყმევს ბაბალეს შეეკედლა და იქ დალია თავისი ბობოქარი სული, ერთ დროს შეძლებული თავადის ოჯახის ძე, ქუთაისში წმინდა გიორგის ეკლესიის სამრეკლოს ქვეშაც ვერ დასაფლავდა, ოჯახმა ეს ვერ შეძლო... წმინდა გიორგის ეზოდან კი მისი საფლავი მთელ ქუთაისს გადაჰყურებს და ალბათ, ასობით სამდურავს უთვლის ქვეყანას, რომლისთვისაც არასოდეს უღალატნია, თუ უღალატა ისევ თავის თავსა და საკუთარ ჯანმრთელობას.

საოცარია, კაცმა, რომლის ცხოვრებაც მხოლოდ ტრაგიკულია, საოცრად იმედიანი, სიყვარულით გაჟღენთილი ლექსები დატოვა, თავზე გვირგვინად კი „ადამიანი“ დაადგა.

### ენობრივი ანალიზი

№2173 ხელნაწერი, რომელიც დაცულია ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, შედგება 813 ფურცლისაგან (ზოგიერთი მათგანი რვეულშია შესრულებული), წარმოადგენს ჩვენი ენობრივი ანალიზის მასალას. ხელნაწერი შესრულებულია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ 1865-1880 წლებში. მისი ავტორია პოეტი მამია გურიელი.

ხელნაწერი შედგება 813 ფურცლისაგან. ქაღალდის ზომაა 19,5X 16 სმ. ხელნაწერები შესრულებულია ნაწილობრივ რვეულის ფურცლებზე, ნაწილი რვეულებში, რომლებსაც

ყველას თავისი ნომერი გააჩნია, გზადაგზა ყველა ნუმერაციას წარმოვადგენთ, ხელნაწერები ყდაში არ არის ჩასმული. შესრულებულია მხედრულად, XIX საუკუნის აღნიშნული ხელნაწერები დაცულია კირილე ლორთქიფანიძის ფონდში, როგორც ჩანს მუზეუმშიც კირილე ლორთქიფანიძის ოჯახმა შემოიტანა.

ხელნაწერში წარმოდგენილია გრიგოლ აბაშიძის, ივანე აბაშიძის (თუზელის), ალ. აბდუშელიშვილის, არისტარხოს, მიხეილ ავალიანის, ვასო აბაშიძის, დავით ბაქრაძის, სტეფანე გამრეკელის, გაბრიელ ეპისკოპოსის, იაკობ გოგებაშვილის, ს. გაჩეჩილაძის, ნ. გაბუნას, ვალერიან გუნას, კახაბერ გურიელის, მამია გურიელის პირად წერილებს, მამია გურიელის ლექსებსა და პოემებს. საანალიზოდ ამ ეტაპზე წარმოდგენილი გვაქვს მამია გურიელის ლექსები და პოემები, ასევე მისივე თარგმანები.

ხელნაწერები შესრულებულია მუქი შავი მეღვინით, ან ფანქრით, არსად არ არის გამოყენებული სინგური, არც ასოების მოხაზულობაში შეიმჩნევა განსაკუთრებული თავისებურება. ნაწერი მცირედ გადახრილია მარცხნიდან მარჯვნივ. პოეტი ხშირად აკეთებს ასოთა გადაბმებს. რამდენიმე ასოთა კომპლექსი თითქმის უგამონაკლისოდ გვხვდება გადაბმული და კანონზომიერ სახეს ღებულობს.

### ხელნაწერის ორთოგრაფიული ანალიზი

ამ ხელნაწერში არსად არ გვხვდება ასო-ნიშანი ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ასო-ბგერები **ჴ**, **Ⴥ**, **ჶ**, **ჷ** და XIX საუკუნისათვის აგრერიგად დამახასიათებელი **ჴ**, რომელიც სხვა ქვეყნის, კერძოდ, რუსეთის გავლენით შემოვიდა და საკმაოდ ძლიერად მოიკიდა ფეხი იმ ეპოქაში.

ხმოვნით დაწყებულ არსებით სახელებში ხშირად თავსართად გვხვდება თანხმოვანი **ჴ** :

ჩემო კახაბერ! ჩემო გულო, თვით ჩემო **ჴაზრო!** („უსათაურო ლექსი“, (2173/139)

შენდამი კუთვნილს **ჴაზრს** შევაყურებ („ოჴ თუმც ხანდახან“, 2173/145).

ამ ხელნაწერის მიხედვით აშკარად იგრძნობა ამ ბგერათა გაქრობის ტენდენცია, არათუ მწერლობაში, არამედ ცოცხალ მეტყველებაშიც.

### ხელნაწერის ფონეტიკური ანალიზი

სალიტერატურო ენაში სხვადასხვა ფონეტიკური პროცესები ხდება. მათ შორისაა ასიმილაცია, რომელიც წარმოადგენს ერთი ბგერის სრულ ან ნაწილობრივ დამსგავსებას მეორე მეზობელ ბგერასთან;

მამია გურიელის ლექსებში ხშირად გვხვდება ასიმილაცია, ბგერის გადასმა, ბგერის ჩამატება:

**ასიმილაცია:** „მთლად კახაბერსა **დაემზავსე** ღონე იხმარე“ (ჩემო კახაბერ, 2173/138).

**„მზავსად** გრგვინვისა ხმას სცემენ“ (უსათურო, 2173/141).

„რარიგსაც სურის **მიზდევედეს**“ („შაირები“, 2173/166).

**„აღზდეგ** სამშობლოვ ჩემო!“ (უსათურო, 2173/141).

„მინამდისინ გამოძლება, / შემდეგ **მოზდის** რაღაც რული!“ (ანდერძი, 2173/143).

**ბგერის გადასმა:** „იცოცხლე **ხრმალო**, გლოცავ“ (უსათურო, 2173/141).

„ცხენი ხელთა ყვა ეკიდა **რხმალი**“ („რაშიდ ვარდანიძე, 2173/142).

„ხან **ღურბელთა** სთხოვს საბრალოს ხმითა“ („რაშიდ ვარდანიძე“, 2173/137).

„მისცურავს მთვარე რბიან ღურბლები“ („შაირები“, 2173/165).

**ბეგრის ჩამატება:** „იგვრგვლივ კლდენი ცეცხლს ფშვიოდენ“ („სასცენო“, 2173/152).

„ხლტის კალმახივით, მიშურება“ („რაშიდ ვარდანიძე“, 2173/137).

„მეტს არას ვიტყვი, აღვრძალულია“ („შაირები“, 2173/166).

„მივაფურთხე, წიხლიც ჩავკა“ („სასცენო“, 2173/152).

„ფაეტონში ჩავჯექ, გავჰკა“ („სასცენო“, 2173/152).

„ფჰინანსთ მინისტრი ბრძანდებ“ა („შაირები“, 2173/166).

**დისიმილაცია:** „გვათამაშებდა, როგორც უერცელი შაირები, 2173/174).

ჩემის საბლალო სამშობლოს ბედნიერება (2173/179).

ვეღარ გავუძელ ძველებულსა სისხლის დუღილსა და დავეშურე დაგებულსა ქვეშაგებს ლბილსა (2173/179).

სად შემოდლიან მე ყვავსავით დავიცილოყინო (21730179).

### ხელნაწერის მორფოლოგიური ანალიზი

ტექსტში დარღვეულია სახელთა ბრუნვის სისტემაში გრამატიკული ნორმები, აღრეულია ძველი და ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმები. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ბრუნვის ნიშნებთან დაკავშირებით.

ლექსებში არ მოიპოვება წრფელობითი ბრუნვის ფორმების გამოყენება, არც საკუთარ სახელებში.

#### სახელობითი ბრუნვა

ტექსტში არსად არ დაფიქსირებულა იოტას გამოყენების შემთხვევა, სახელობით ბრუნვაში ყველგან გვხვდება ბრუნვის ნიშნად ი:

„მდელვარე სისხლი დამიდუმილე“ („მოწოდება“, 2173/136).

„ამომაცდინე გულის სიტყვები...“ („მოწოდება“, 2173/136).

„გავარდა თოფი, ჰქუხს ზარბაზნები...“ („რაშიდ ვარდანიძე“, 2173/137).

„ყველა რაზმი წავიდა ჩქარად...“ („რაშიდ ვარდანიძე“, 2173/137).

უ ხმოვნის შემდეგ სახელობითი ბრუნვის ნიშნად არსად არ გვხვდება ე.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელობითი ბრუნვის ნიშანი ძირითადად ხმოვანფუძიან სახელებთან არის ნოლი, მსგავსად ახალი ქართულისა:

„ასტყდა საზარი რაღაც მკვლელობა? ...“ („რაშიდ ვარდანიძე“, 2173/137).

„დაჰკრა, გააპო! უყო მჭრელობა“ ...“ („რაშიდ ვარდანიძე“, 2173/137).

„საყვირთა ცემა, ზურნებთ ჭყვივილი“ („რაშიდ ვარდანიძე“, 2173/137).

„ცა აღარა სჩანს სიწყვდიადემი“ („რაშიდ ვარდანიძე“, 2173/137).

თანხმოვანფუძიან სახელებში ყველგან შეგვხვდა ბრუნვის ნიშანი ”ი”.

#### მოთხრობითი ბრუნვა

ტექსტში ძველი ქართულის ნორმის შესაბამისად ხშირად გვხვდება ნიშნად ”მან”:

„მხედარმან ანლო მას უნაგირი“ („რაშიდ ვარდანიძე“, 2173/142).

„რომელმან შექმენ ესე ყოველი“ („რაშიდ ვარდანიძე“, 2173/142).

უფრო ხშირად პოეტი იყენებს ახალი ქართულისათვის დამახასიათებელ მ ან მა ნიშნებს:

„ო... დაგწყევლოს ცამ და მიწამ/ სამოთხემ და ჯოჯოხეთმა/ მეტ მტერობას რაღა მიზამ. შეგაჩვენოს თითონ ღმერთმა“ („ელეონორა ერისთავის ქალს“, 2173/138).

„ეე...თუნდა წავწყდეთ, დავლიოთ / გურჯებმა ჩხავრის წვენიო“ („ქობულეთური ყანური სიმღერა“, 2173/146).

ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი ”მან” უკვე მოშლის გზაზე და მას თავისუფლად ენაცვლება ”მ”, ”მა” მარკერები.

**მიცემითი ბრუნვა.** მიცემითი ბრუნვა ხშირ შემთხვევაში დავადასტურეთ სავრცობით:

„ერთიც ყმაწვილსა გადაერია“ („რაშიდ ვარდანიძე“, 2173/137).

„ვინ ვის სულსა ხდის, ვინ გამოიცნობს?“ („რაშიდ ვარდანიძე“, 2173/137).

საკმაო რაოდენობის მაგალითებია, როცა მიცემითი ბრუნვის ნიშანია მხოლოდ ”ს”.  
„...ჩეხა, ლეკური ძვლებზე ხმას უხშობს, დაჰკრა, გააპო, უყო მჭრელობა“ („რაშიდ ვარდანძე“, 2173/137).

„და რაღაც ეშმაკი ჰგვანდა მოლხენას“ („რაშიდ ვარდანძე“, 2173/137).

**ნათესაობითი ბრუნვა.** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანიც ხშირად გავრცობილადაა წარმოდგენილი:

„ერთს მწვერვალზე კავკასის მთისა / რომლის სახელი არ მაგონდება / სად ქცვინვა ისმის შავის ზღვის ხმისა“ („რაშიდ ვარდანძე“, 2173/137).

„ვინ არს მზრუნველი მათის საქმისა“ („რაშიდ ვარდანძე“, 2173/137).

**სამშობლოს** ხსნა მიზნადა ჰქონდა“ („რაშიდ ვარდანძე“, 2173/154).

საანალიზო მასალაში გვხვდება ნათესაობითის მსაზღვრელად გამოყენების მაგალითები. ძირითადად მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, ორივე მხოლოდით რიცხვშია:

„ღვთის ნება არის და ძალი იყოს თავისუფალი“ („უსათაურო“, 2173/141).

„ერთს მწვერვალზე კავკასის მთისა / რომლის სახელი არ მაგონდება / სად ქცვინვა ისმის შავის ზღვის ხმისა“ („რაშიდ ვარდანძე“, 2173/137).

„მრავლის კეთილის მომვლინებელი“ („რაშიდ ვარდანძე“, 2173/137).

„ვით არ გავბედო გკადრო მადლობა / უღირსის პირით დაღაღებულ“ („რაშიდ ვარდანძე“, 2173/137).

„მცხოვრებნი ერნი ჩემის ქვეყნისა“ („რაშიდ ვარდანძე“, 2173/137).

შეგვხვდა ერთი მაგალითი ნანათესაობითარი სიტყვისა, როდესაც ნათესაობით ბრუნვაში მდგომი სახელი მოთხრობით ბრუნვის ნიშანს დაირთავს:

„და შემდეგ ხალხმა ქართლოსისამ გიწყოს სიმღერა“ (ჩემო კახაბერ, 2173/139).

**მოქმედებითი ბრუნვა.** მოქმედებითი ბრუნვა საანალიზო ტექსტში წარმოდგენილია -ით ნიშნით და შემთხვევები ხან გავრცობილია, ხან გაუვრცობელი:

„რადგანაც სული შენგნითა მდება / შენის ხელითვე ბარემ მომკალი“ („ს.ე.“ 2173/140).

„ოხვრით, ცრემლებით და ვაებითა / თავს ნუ იწუხებ, ნუ დამავალებ, მხოლოთ კი მტანჯე, მარად ვნებითა, ნუ შემიბრალებ, ნუ შემიბრალებ“... („ს.ე.“ 2173/140).

„გამოგვრჩით რამე - მყრალის ფლიდობით“ („მოწოდება“, 2173/136).

„ოჰ ზღვაო, ზღვაო! შენის ჭვრეტით, რამდენი ფიქრი წარმომიდგება“ („რაშიდ ვარდანძე“, 2173/142).

„სადა თავის უნაყოფოს დღეებს ჩემი მამები ატარებდნენ უაზრო ამაყის ქეიფებით წვრილი ტირანობით და გასვრილი გარყვნილებით“ („სამშობლო“, 2173/146).

საანალიზო მასალაში გვხვდება მოქმედებითის მსაზღვრელად გამოყენების მაგალითები. ძირითადად მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, ორივე მხოლოდით რიცხვშია: „ვით არ გავბედო გკადრო მადლობა / უღირსის პირით დაღაღებულ“ („რაშიდ ვარდანძე“, 2173/137).

**ვითარებითი ბრუნვა.** ვითარებით ბრუნვაში დასტურდება ”ად” და ”დ” ნიშანი:

„ნურც მეგობარს სოფლად ეძებ“ („ანდერძი“, 2173/143).

„მომივიდა და ქანცაწვეტილად / მანამდეც მოხოვდნენ ერთნაირი / მიმეცა მათთვის მე საჭვრეტელად“ („რაშიდ ვარდანძე“, 2173/137).

„და აჰა? იქ, სად მრთელი ბუნება / ღმერთთა სამყოფად მოქარგულია“ („ბაირონის გიაურიდან“, 2173/145).

**წოდებითი ბრუნვა.** წოდებითი ბრუნვის ნიშნად გამოყენებულია ”ო” ან „ვ“: „რათ ქალაჩუნობ მთელი ცნობილო, / ნურაფრისა გავს მცირედიც რიდი, შენ გონიერო, ყოვლად კეთილო, გახსოვდეს, მხოლოდ სინიდის ყიდი“ („მოწოდება“, 2173/136).

„მოდო მოყვარევ, გულისა კაცო“ („მოწოდება“, 2173/136).

დავასკვნით, საანალიზო მასალა ბრუნვებთან დაკავშირებით არ იძლევა მნიშვნელოვან განსხვავებებს. იგი ზოგ შემთხვევაში იყენებს ძველი ქართულის ბრუნვის ნიშნებს, ზოგში კი ახლისას. საკუთარი სახელი სახელობითში ფუძის სახითაა წარმოდგენილი - ესეც ძველი ვითარების გათვალისწინებაა. რაც შეეხება გეოგრაფიულ სახელებს - აქ სრულიად უარყოფილია ახალი ქართულის ნორმები და ისინი იწარმოებიან

ძველი ქართულის მსგავსად, მაგრამ არ გვხვდება წოდებით ბრუნვაში დასმული გეოგრაფიული სახელი.

### თანდებულები და თანდებულებიანი ბრუნვები

**სახელობითი ბრუნვა.** დავადასტურეთ თანდებულებიანი სახელობითის მხოლოდ 5 ფორმა:

„მთვარე კვლავ დადის ახლად გამცხრალი / რომ **პაპივითა** პირ-მოპარსული“ („შირები“, 2173/150).

„მისწრაფიან **ისარივითა** / საფლავისადმი, რაც არს ხორც სხმული“ („ბაირონული“, 2173/150).

„მაგრამ დიდის ხნით / ქვის **კედელივით** უძრავი იყო“ („რაშიდ ვარდანიძე“, 2173/142).

„ხლტის **კალმახივით**, მიეჩქარება“ („რაშიდ ვარდანიძე“, 2173/137).

**მიცემითი ბრუნვა.** საანალიზო ტექსტში თანდებულებიანი ფორმები თანამედროვე სახითაც მოიპოვება, მაგრამ მეტი ნაწილი ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი და გარდამავალი ფორმებია:

„მოდო ლამაზო ჩამეკარ **მკერდში**“ („მოწოდება“, 2173/136).

„მკოცნე და მლომნე, ნაზად **ტურჩებში**, მომელაციცე, მომატყულიე“ („მოწოდება“, 2173/136).

„ცა აღარა სჩანს **სიმწყვდიადში**“ („გრიგოლეთი“, 2173/137).

„წა, ჩავარდი **ჯოჯოხეთში**“ („ელეონორა ერისთავის ქალს“, 2173/138).

პოეტი ხშირად იყენებს **ში** თანდებულის ფორმად **შიდ** ვარიანტს:

„ა ბნელი, ბნელი ბადი, **ხეივანშიდ** მდუმარე“ („სამშობლო“, 2173/146).

„ქვეყნად გინა მეორე **კუბოშიდ** მწოლიარემ“ („სამშობლო“, 2173/146).

„მე გამდელთან გავრბოდი რამდენჯერ მის **კალთებშიდ**/ ცრემლსა ვღვრიდი მწარესა ვაიმე გულის **სათშიდ**“ („სამშობლო“, 2173/146).

საინტერესოა, რომ **”ზედა”** თანდებულები წინადადებაში ცალკე მდგომია, მაშინ, როდესაც **”ზედ”** ყოველთვის შერწყმულია, აქ უკვე აშკარად ჩანს ცვლილება თანამედროვე ვითარებისაკენ:

„ნუ შემობრალე, თუმცა დარდები/ ვით საფლავის ქვა **გულზედა** მაწევს“ („ე.ე. „ 2173/140).

„არა, არ ვწუხვარ **არაფერზედა**“ („რაშიდ ვარდანიძე“, 2173/154).

„აჰა გადმოწვა მარჯვენა **ფერდზედ**“ („რაშიდ ვარდანიძე“, 2173/142).

„სწერდნენ ურიცხვსა **ჩემზედ** ლექსებსა“ („უსათაურო“, 2173/144).

ტექსტში **”ზე”** თანდებულებიანი მიცემითის ბევრი ფორმა დასტურდება:

„ვნება გრძნობების **სიმებზე** / ცახცახით ხელის ჩაკვრავო?“ („ქობულეთური ყანური სიმღერა“, 2173/147).

„**ვანშამზე** უმჯობესებსა გეტყვით ლექსებს და ნანასო“ („ქობულეთური ყანური სიმღერა“, 2173/147).

ტექსტში **”თანა”** თანდებულები ყოველთვის სიტყვასთანაა შერწყმული:

„ამ **ნაპირებთან** მიმზიდველ ძალით / და შავ ქვიშებში მეცა გამხვევენ“ („შირები“, 2173/150).

„ამ ორისთვის ვეჩხუბები, ამ **ორთან** მსურს რომ ვიცხოვრო“ („უსათაურო“, 2173,141).

შეგვხვდა **შუა** თანდებულებიანი სახელები, **შუა** თანდებულები ყოველთვის სახელისაგან ცალკე დგას:

„იქნევს გაჯავრებული / **გორდას შუა** შუბებში“ („წერილი“, 2173/152).

„თვალ უწვდომელო **ველებთ შუა** მაღლა რბიან დღე და ღამე“ (პიესა, 2173/174).

**ნათესაობითი ბრუნვა.** ტექსტში ნათესაობითი ბრუნვის თითქმის ყველა თანდებულები (თვს, წინაშე, მიერ, შორის, ქუჭშე, ებრ, გან, გამო, ვით, თვნიერ) შეგვხვდა.

„მსმენია ტყვილი **მეგობრებისგან** / **სატრფიალოსგან** - მოტყუილება“ („ს.ე.“ 2173/140).

„ის **ნაპირისკენ** იჩქარის ზღვიდამ მისგან დახსნილის მოსახვეველათ“ („ბაირონის გაიურიდამ“, 2173,145).

„წყლულის გულიდამ არვის ესმოდეს; / ოხვრა **ჩემმიერ** შენდამი მძღვნილი გაუგებელი / მათთვის რჩებოდეს“ („ოჰ თუმც ხანდახან“, 2173/145).

**თვის** თანდებულები ზოგჯერ დანიშნულებას გამოხატავს:

„**სამშობლოსთვის** სულ იზრუნე, სულ იმწუხარე“ („უსათაურო“, (2173/139).

„სამშობლო ჩემის თავისუფლებისათვის, / იესო ქრისტეს სარწმონოები-სათვის“ („უსათურო“, 2173/141).

ლექსებში უხვადაა გამოყენებული „თვის“ თანდებულის დიალექტური ვარიანტი „თვინ“.

„ჰყვირის, იბრძვის, ილანძვება მამულისთვინ განწირული“ („ანდერძი“, 2173/143).

„მედგარ გულისთვინ არ ვინ სცდილობს“ („ანდერძი“, 2173,143).

„ჰყვირის, იბრძვის, ილანძვება, მამულისთვინ განწირული“ („ანდერძი“, 2173/143).

შეგვხვდა ებრ თანდებულის ნათესაობითის ფორმები:

„მზებრ წყალობისა უხვად გამცემი“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„მეც სხვებისებრ სახსოვარად / ჩავსწერ ფიქრებს, რაც მაქვს თავში“ („კატო აბაშიძის ალბომიდან“, 2173/50).

„თითონაც მათებრ გადაშლილი / მიმტაცი ხარ ყველა გულის“ („კატო აბაშიძის ალბომიდან“, 2173/50).

„ქალწულებრივმა გოუთქავს ლოყებსა“ (პიესა, 2173/174).

მოგზაურობაში ხშირი გამოყენება არა აქვს თანდებულებს **”გამო”**. **”გამო”** გამოიყენება სულ ცხრაჯერ:

„უძლიერესად მიყვარს მის გამო მხიარულებით ველი, ვუყურებ“ (2173/179).

„მე ამის გამო გავხდი ავად, აგერ მოვკვდები“... (2173/179).

ხშირია **”გან”** თანდებულის გამოყენების შემთხვევები:

„ის ნაპირისკენ იჩქარის ზღვიდამ მისგან დახსნილის მოსახვეველათ“ („ბაირონის გიაურიდამ“, 2173,145).

ასშვიდჯერ შეგვხვდა **”დამ”**, ორჯერ **”დამა”** თანდებულის ფორმა:

„და ტკბილსა სალამს გზავნის შორიდამ“ („ბაირონის გიაურიდამ“, 2173/145).

„ის ნაპირისკენ იჩქარის ზღვიდამ მისგან დახსნილის მოსახვეველათ“ („ბაირონის გიაურიდამ“, 2173/145).

„იქ კუნძულებთა გროვა ნათელი/ ნაპირებიდამ შორითვე ჩნდება“ („ბაირონის გიაურიდამ“, 2173,145).

„იმედი მქონდა ექიმებიდამ“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„სიყრმიდამ აღზრდილს ბრძანებლობაში / რაღა ეს ლანძვა მეჭივრებოდა“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

მოქმედებით ბრუნვაში შეგვხვდა **იდგან** ფორმა:

ნუ შემობრალე თუმცა სიყრმიდგან/ ჯერ არ მინახავს სიამოვნება („ს.ე.“ 2173/140).

ხელნაწერში მაგალითებში სრულად არის წარმოდგენილი ვითარებითი ბრუნვის ნიშანი **”ად”** და ამის შემდეგ დაერთვის სიტყვებს **”მდე”** თანდებულო:

„ის ჯაჭვებამდის რამ მიიყვანა!“ („ბაირონის გიაურიდამ“, 2173/145).

„აკვნის უბიდამ კუბოებამდის ძლივ ხოხვენ ჯაჭვით დამძიმებულნი“ („ბაირონის გიაურიდამ“, 2173/145).

„გიჟ-დაუდეგი მათი ზვირთები/ მომიტაცებდნენ ცამდის ავჰყავდი?“ („შაირები“, 2173/150).

„უსამართლობა დრომდის ვითმონდი“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

ხელნაწერში შეგვხვდა დიალექტური ფორმაც:

„მეორესა დღესა ვჰსწირეთ და მრავალჯერ ორმოცამდინ“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

მოყვანილი მაგალითებიდან აშკარად ჩანს, რომ საანალიზო ტექსტში დაცულია როგორც ძველი, ისე თანამედროვე ქართულისათვის დამახასიათებელი თანდებულები. მას შედარებით მცირე რაოდენობით აქვს გამოყენებული ძველი ქართულის ფორმები, ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან ხელნაწერი XIX საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება და საკმაოდაა დაშორებული აღნიშნულ ეპოქას.

### ნაწევრიანი სახელები

ხელნაწერში იშვიათობაა ნაწევრიანი სახელები, სადაც ნაწევარი ჩვეულებრივ მოსდევს სახელს:

**ზღვა ესე** ერის ჩემი გაზრდელი („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/142).

შენ გაშინებდა **აზრი ესე** („სამშობლო“, 2173,146).

ტექსტში შეგვხვდა როგორც ნაწევარი "ესე", ისე ნაწევარი "იგი" სხვადასხვა ბრუნვის ფორმით.

მოთხრობითი: საქმე მეტათ გამიჭირა, / ბრიყვ-თამამა იგი კაცმა / მუხლი მუხლზე მომაჭირა („სამშობლო“, 2173/152).

ჩანს, რომ პოეტი იშვიათად იყენებს ნაწევარს, ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საანალიზო მასალა ჯერაც არ ემიჯნება ძველი ქართულის ვითარებას.

### ნაცვალსახელები

პირის ნაცვალსახელები ჩვენ და თქვენ ხან წარმოდგენილია ჩვენ, ხან ჩუენი, ხან თქვენ, ხან თქუენ ფორმებით:

„**თქუენ, თქუენ**, თათრები დახოცეთ, / მტანჯული **ჩუენი** დაკვებთ“ („უსათაურო“, 2173/141).

„წიხლებს ისვრის ვირი **ჩუენი**“ („ანდერძი“, 2173/143).

„**ესები** სულაც არ მენატრება, / აი რარიგი მსურის წამალი“ („ს.ე.“, 2173/140).

ზოგჯერ პირის ნაცვალსახელის ნაცვლად გამოყენებულია კუთვნილებითი ნაცვალსახელი:

„**მე და შენი** ერთი არი / ერთის ჭირით ორნივ ვკვდებით“ („გიორგი შერვაშიძეს“, 2173/89).

### რიცხვი. რიცხვის ნიშნები

ტექსტში ნართანიანი მრავლობითის მაგალითები მომძლავრებულია. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს (XIX ს.) მრავლობითის ძირითადი მაწარმოებელი "ებ" სუფიქსი უნდა იყოს, ნართანიანი წარმოება სამჯერ, ოთხჯერ უფრო ხშირია, ვიდრე ებიანი:

შეგვხვდა ებიანი მრავლობითის ხმარება წრფელობითში, სადაც ნარიან მრავლობითს აკლია საკუთარი ფორმები და ერთობ ხშირია მოქმედებითში, სადაც თ-ანიანი მრავლობითი ნათლად ვერ გამოხატავს მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციას.

„თუ ხშირი იყო **კაცთა** სიკვდილი“ („რაშიდ ვარდანძე“, 2173/142).

„ხან **ღურბელთა** სთხოვს საბრალოს ხმითა **მამათა** ბინას აქვენ შემახედე“ („რაშიდ ვარდანძე“, 2173/142).

ხშირად ერთი და იგივე მაგალითის ფარგლებში გვხვდება როგორც ებიანი ისე ნართანიანი მრავლობითის ფორმები:

„**წიხლებს** ისვრის ვირი ჩუენი“ („ანდერძი“, 2173/143).

„**საყდრებს** აგებენ, ქალაქს მატებენ“ („რაშიდ ვარდანძე“, 2173/142).

„**კაპიტნები** გამოცდილნი უჯავრდება **მატროსებსა**“ („რაშიდ ვარდანძე“, 2173/142).

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ხელნაწერში ძირითადად მრავლობითად ნართანიანი ითვლება. თუმცა ხშირია მრავლობითის აღსანიშნავად "ებ" სუფიქსის ხმარებაც. ფრიად საინტერესოა ორმაგ მრავლობითიანი ფორმების არსებობა.

### ზმნა

#### ზმნის პირისა და რიცხვის ნიშნები

მამია გურიელს უცნაური დამოკიდებულება აქვს ზმნებისადმი. იგი ძირითადად იყენებს ერთპირიან ზმნებს, ან ორპირიან ვარდაუვალს. შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი სამპირიანი ზმნები. საერთოდაც, ზმნების ნაკლებობა მთელს მის ხელნაწერში იგრძნობა, სამაგიეროდ, იგი უსაზღვროდ მდიდარია სახელზმნური ფორმებით, განსაკუთრებით კი - მიმდებარებით.

I სუბიექტური პირის ნიშანი არ არის **მოვედი, მოვალ** ზმნებში, თუმცა ისინი სათანადო ზმნის ფორმებში სწორადაა გამოყენებული. ხელნაწერში პარალელური ფორმებია გამოყენებული:

„**ვბრძანე**: წავიდეთ შორიდან სროლა აღარად ვარგა“... („გრიგოლეთი“, 2173/137).

„მისის ეშხით **ვცოცხლობ, ვხარობ**“ („ელეონორა ერისთავის ქალს“, 2173/138).

„მე მთელი დღე ჩემ ოთახში / **დავგორავდი**, შენახული“ („სასცენო“, 2173/152)

I სუბიექტური პირის მრავლობითობა გამოხატულია ”თ” სუფიქსით:  
 „აბა, ერთიცა **დავსცალოთ, მივმართოთ** ისევ ყანასაო“ („ქობულეთური ყანური სიმღერა“, 2173, 152).  
 „ვგონებ **დავსცალოთ** / ყოველი ძალა და წმიდა გრძნობა“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).  
 „ჩემო პეტრე, მე და შენ **ვსცხოვრებთ** ხან სქლად, ხან თხლად და ხან სულ ცარიელად“! (პიესა, 1627/174)  
 ნაწერებში ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა I სუბიექტური პირის ნიშანი ზმნას აკლია:  
 „მოვიწვიო თუ **უთხრა** უარი“? („რაშიდ ვარდანოლი“, 2173, 154).  
 „მოგებულს იქვე ოქროს ფულებით / ანგარიშებში **უსწორდებოდი**“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).  
 „შიგ **შეუვარდი** მამზგავსეს რეტსა“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).  
 „თქვენ ვინა ხართო/ მე **უპასუხე**“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).  
 „მეგობრებო! ჯერ **უსურვოთ** / ჩვენს სამშობლოს დღე გრძელეზა... („ალავერდი“, 2173/114).  
 საინტერესო ფაქტია, ის რომ **ვ** ბგერით დაწყებულ I სუბიექტური პირის ზმნაში თავმოყრილია ორი ვ:  
 „**ვგოხრავთ**, დავსტირით თუ ცრემლებსა ვღვრით“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).  
 ხელნაწერში ძალიან ცოტა ზმნა შეგვხვდა მეორე სუბიექტური პირის ნიშნით გამოხატული:  
 „ნუ **სწუხხარ**, სულიც რომ ამომხადონ“... („ს.ე.“ 2173/140).  
 „შენ სულდათქმით **მოჰყევი**“... („წერილი“, 2173,152).  
 „ნუ **ემდურებით** მგოსანსა ჩრდილის ქვეშ მწვანე ფოთლებით, ნიჰსა ციურსა ეძებდეს“ („კ-ოს“, 2173,152).  
 „გულთ მომხიზვლელი ჩიტივით **ჰფრინავ**“! („უსათაურო“, 2173,152).  
 „ვის რა **შეჰკადრე** ვიმედობ, ნახე“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).  
 რაც შეეხება მესამე სუბიექტურ პირს ტექსტში ვხვდებით თითქმის ყველა ნიშანს, არ შეგვხვდებოდა ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ნიშანი ”-ედ”:  
 „**გაჰვანტა, მიჰყვა**, ჯგლითხე **მიჰყარა**“ („გრიგოლეთი“, 2173/137).  
 „... და რაღაც ეშმაკი **ჰგვანდა** მოლხენას“ („გრიგოლეთი“, 2173/137).  
 „გულზე ხელი **ვჰკარ**, გავარტყი ყბაში“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).  
 „ვისაც ეწვიათ, სული **ამოსდის**“ („გრიგოლეთი“, 2173/137).  
 „მაშინ **მომესმის** წასულთა წელთა / ხმა საზარელი სამარის მტკნარის“ („ნადსონი“, 2173, 152).  
 „გავარდა თოფი, **ჰქუხს** ზარბაზნები“ („გრიგოლეთი“, 2173/137).  
 „ცა აღარა **სჩანს** სიმწყვდიადეში“ („გრიგოლეთი“, 2173/137).  
 „სად **შემიძლიან** მე ყვავსავით დავიყოყინო“ (21730179).  
 ხშირად **ნენ** პირის ნიშნის ნაცვლად გამოყენებულია **ენ** ნიშანი, თუმცა ავტორი „ნენ“ ნიშანსაც სათანადოდ იყენებს:  
 „გიჟ-დაუდეგი მათი ზვირთები/ **მომიტაცებდენ**, ცამდი ავჰყავდი! / **მივიწროებდენ** სივრცეს სოფლისას / სადღაცა იქეთ **დამაბორგებდენ**, / **სპობდენ** დროებთა საუკუნისას“ („მაირები“, 2173/150).  
 „სადაც უნდოდათ **წავიდნენ** / **ჩეიწყენენ** ჩასაფრულათა“ („ოცნება“, 2173/160).  
 „გველნი **მშხამვიდეს**, დატანჯილ მკერდში ყორნები ღვთიურ გულსა **მიწეწდენ**“ („ს.ე.“2173/140).  
 „ხანჯლებსა **სცემენ** ერთმანეთს მკერდში კბილითა **კბენენ**, სისხლსა **სწუწნიან** “ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/142).  
 „**გაფრინდენ** ზღვაზე უცხო ნავეები“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/142).  
 „თვით წელნი მე **მშორდებიან**, / მით ჩემგან განვლილთა დროთა / ბრალდება **სასტიკდებიან**“ („ნადსონი“, 2173/152).  
 ერთსა და იმავე წინადადებაში ზმნის მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ხან **ენ** არის ხან - **ნენ**:  
 მეც ყოველ მხრიდამ **შემომესივნენ**, **მგლეჯდენ**, **მცარცვიდნენ**, **მეომებოდნენ** (2173/179).  
 ზოგჯერ მ. გურიელი ზმნის პირველ და მესამე პირის ნიშნებს ერთდოულად იყენებს ზმნაში:  
 „ვეღარ **ვსცნობ** ვინ, სად დამარხულია“ („ბაირონის გაიურიდამ“, 2173/152).“

ანალოგიური მდგომარეობაა ობიექტურ პირებთან დაკავშირებითაც. ტექსტში მცირე რაოდენობით დავაფიქსირეთ მეორე ობიექტური პირის ფორმები.

„არ **მწამს**, არ **მჯერა** მე ეს ჩვენება“ („ბაირონის გიაურიდამ“, 2173/152).

„რალაც ფიქრი **მომერია**“... („სასცენო“, 2173/152).

„ნუ თუ **დაგვიწყდა** საბრალო შვილო“... („ბაირონის გიაურიდამ“, 2173/152).

„ჩავევხვივნეთ და **გვინდოდა** - / **შეგვეკერა** კაბა ერთი“ („სასცენო“, 2173/152).

„როცა ომი ასტყდება, / ბრძოლა **გაგვიცხარდება**“ („წერილი“, 2173, 152).

„სულ ტყვილ-უბრალოთ რჩევა **შეგვრჩება**, რომ მათ ტყვეობის ჯაჭვი **გაგლიჯონ**“... („ბაირონის გიაურიდამ“, 2173/152).

„გაწოლილთა წარბებს შუბლზე/ ვინ **აგიწერს**, ვინ დახატავს?“ („სასცენო“, 2173/152).

„მალლა **გეძახოსთ** საფლავებიდამ / ბერძენთა მიწის სული ცხოველი“ („ბაირონის გიაურიდამ“, 2173/152).

„...ტახტს დაეშვები, **დაგეძინება**, / მენდე არც მითი **შეგიწუხთები** / თუ ჩემი თავი **დაგესიზმრება**“ („უსათურო“, 2173/152).

„და, უწინ **მოსწყლავს** მათ ხრმლები მტრების / ვიდრე ბორკილსა ქედზე დაადებს“ („ბაირონის გიაურიდამ“, 2173/152).

„და მითიცა **ჰკვლენ** თავიანთ ძმებსა“ („ბაირონის გიაურიდამ“, 2173/152).

„სად ტყვია სიკვდილს **სთესავს** / ჩამხდარი ტყის ნაპირში“ („წერილი“, 2173, 152).

„აბა, ერთიცა **დავსცალოთ**, მივმართოთ ისევ ყანასაო“ („ქობულეთური ყანური სიმღერა“, 2173, 152).

საანალიზო ტექსტში ზოგან დაკარგულია ირიბი ობიექტის ნიშანი ფონეტიკური თუ სხვა ფაქტორის გავლენით, მაგრამ ზოგან ჩანს ”ჰ” პრეფიქსი, ხმოვნების წინ კი დაკარგულია:

„ნუ **ემდურებით** მგოსანსა ჩრდილის ქვეშ მწვანე ფოთლებით, ნიჰსა ციურსა ეძებდეს“ („კ-ოს“, 2173,152).

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მესამე ობიექტური პირის მრავლობითობა გამოხატული შეიძლება იქნას პირველ სერიაში, მაგრამ ხელნაწერში გვხვდება ორიოდე მაგალითი, როცა მესამე პირდაპირი ობიექტი მეორე სერიაშია და იგი ნიშნითაა გამოხატული, თანაც ორი სუფიქსით:

ლექსებში გვხვდება ერთპირიანი ზმნები, რომლებშიც სუბიექტური პირის გარდა, ობიექტური პირის ნიშნებიცაა გამოხატული:

„**დავსწექ**, გარეთ არ გავედი“ („სასცენო“, 2173/152).

„**დასცხრა** სიცხე ბინდობანზე“ („სასცენო“, 2173/152).

„ავთროლოდები, **გავსწითლდები**“... („სასცენო“, 2173/152).

„ვეჭვ ვერ მიმხვდარან მე თუ **მოვჰკვდები!**“ („ოცნება“, 2173/160).

„**გასძღეს** მხოლოდ სურვილები გრძნობდე ვნებათ შველასაო“ („სასცენო“, 2173/152).

„როცა ომი **ასტყდება**, / ბრძოლა **გაგვიცხარდება**“ („წერილი“, 2173, 152).

„ცოტას მაინც **შეჰკრთება**“ („წერილი“, 2173, 152).

„კინაღამ **ვსთქვი** დაფარული / საიდუმლოთ მქონდა რაცა“ („სასცენო“, 2173/152).

„გიჟ-დაუდეგი მათი ზვირთები/ მომიტაცებდნენ ცამდის **ავჰყავდი?**“ („შაირები“, 2173/150).

„თუ ყველა **სტირის** - მიჯობს **ვსტიროდესთ**“ („რათ მინდა?“, 2173/150).

„სიმართლეს შიშვნეულებით თითონ მე არ **მოვსტყუვდები**“ („რამიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„ვითომ ტყვედ **ვჰყავდი**“ („რამიდ ვარდანოლი“, 2173/154).

მამია გურიელის ლექსებსა და პოემაში ხშირად ვხვდებით ზმნებს მხოლოდ ერთი მარცვლით:

„**წა**, ჩავარდი ჯოჯოხეთში“ („ელეონორა ერისთვის ქალს“, 2173/138).

„შემდეგ **წა** ჯაშუშს გააგებინე.“.. („ელეონორა ერისთვის ქალს“, 2173/138).

„**მო**, მეგობარო, მამებინე, / ამომიცდინე გულის სიტყვები“ („წერილი“, 2173, 152).

საინტერესოა ფორმა ზმნისა „მსურს“, რომელიც ხელნაწერებში 18-ჯერ გამოყენებულია ფორმით „მსურის“:

„მსურის შენ და მთლად ქართველობა ერთ სულად გახდეთ / მსურის ქართულთა დაიხსომდესთ კვლავ ეს სახელი“ („ჩემო კახაბერ“, 2173/139).

„ესები სულაც არ მენატრება, / აი რარიგი მსურის წამალი“ („ს.ე.“, 2173/140).

პოეტი იყენებს ზმნისწინის ფორმებს **გარდა-**, **შთა-**:

„შემდეგ ტკბილად დაიძინოს / **გარდაიდოს** ზღვაზე ხიდი“ („ანდერძი“, 2173/143) .

„მით **გარდევინადოთ** ჩვენი წადილი“ („რათ მინდა?“, 2173,152).

„**გარდამაყაროს** ჩემი ნდომები, ჩემი ჰაზრები, / სიცოცხლის ძალა და ოცნებები“ („კ-ნა ელეონორას“, 2173,152).

„ოსმალთ ნიშანი თითონ **გარდმომცა**“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„გარდადის ჭიქა, კულა ხის აბა ჩემსავით დალიონ“ („ოცნება“, 2173/160).

„მკვდართ თითქო სულსა **შთაბერავს**, ცხოველ ჰყოფს საქმეთ წასულთა“ („კ-ნა ელეონორას“, 2173, 152).

შეგვხვდა ტმესის ერთადერთი შემთხვევა:

მათი კომლის სუნნელება ცათამდის **აღ-ცა-ვიდესა** (2173/179).

ამრიგად, ანალიზი აჩვენებს, რომ ხელნაწერი პირის ნიშნებთან დაკავშირებით საკმაო თავისებურებებით გამოირჩევა. კერძოდ, ზედმეტად ხმარებულია პირის ნიშანი, ერთპირიან ზმნაში სუბიექტური პირის ნიშნის გარდა გამოხატულია ობიექტის ნიშანიც.

### ზმნისწინი

ხშირად გამოიყენება ზმნისწინი „მიმო“:

„წასულნი ტკბილ წიგნებით მიმოგონების“ („შაირები“, 2173/165).

„ბრძოლის ველებზე მიმომატარეს“ („შაირები“, 2173/165).

„წასულ ტკბილ დროთა მიმოგონების და წყენის მეტი აღარა გრჩება“ (2173/179).

### ზმნის გვარი

ხელნაწერში ყველაზე დიდი რაოდენობით გამოყენებულია საშუალი გვარის ფორმები, ნაკლებია მოქმედებითი გვარის ზმნები და შედარებით ნაკლებია ვნებითი.

**მოქმედებითი გვარის ზმნები:**

„თუ **იშოვნა** მსაჯულობა“ („ანდერძი“, 2173/143).

„ქუდი **გასტყორცა**, თმებსა **იგლეჯდა**“ („რაშიდ ვარდანძე“, 2173/142).

„მადლობას **სწირვენ** მათ მწყალობელსა, ჭია, ფრთოსანი, მხეცი უწყალო, ოთხფეხი, კაცი უტყვი, მეტყველი“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

**ვნებითი გვარის ფორმებიდან ყველაზე მეტად ტექსტში იხმარება ინიანი ვნებითები:**

„სისხლი **მიღელავს**, გული **მიხტება**“ („რაშიდ ვარდანძე“, 2173/142).

„**იძვრის** ჰაერი, მიწაც კი ფშყივა“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„ყმაწვილობს, **ირთვის**, სულ ლამაზდება“ (2173/179).

**ენიან ვნებითებში** ყოველი მაგალითი ორპირიანია:

„ყველა სტყუის, ყველა ფლიდობს, თავის თავსა **ემოყვრება**“ („ანდერძი“, 2173/143).

„ზოგს ფულები **ენატრება**, ჩინ ორდენი, დიდკაცობა“ („ანდერძი“, 2173/143).

„სად ის მის კალთებს **ეტრფიალება**“ („რაშიდ ვარდანძე“, 2173/142).

„ცხენი ხელთა ყვა, **ეკიდა** რხმალი“ („რაშიდ ვარდანძე“, 2173/142).

„ვერ **შეედრება** ვერც ერთი ჩანგი“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

**დონიანი ვნებითები:** „გამეფანტა **მწაღდა** ურვა“ („სასცენო“, 2173/152).

„და სცნობისა მას ნდომით აღძრულსა / **სწადდეს** ამ გულის ტყვედ მოტაცება“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„ყმაწვილობს, ირთვის, სულ **ლამაზდება**“ (2173/179) .

„მათი სტუმრობა იყო სალხენი / გვეთვისებოდნენ, ვუყვარდით, **გვძმობდნენ**“ (2173/179).

ხელნაწერში მცირე ოდენობით, მაგრამ მაინც შეგვხვდა **უნიშნო ვნებითის** ფორმებიც:

„სამეფოები მათით **არსდება**“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„**თენდება**, დილა ნათლისა“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„**იღვიძებს** ერთიგ მთელი ხმელეთი“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„**ყმაწვილობს**, ირთვის, სულ ლამაზდება“ (2173/179).

საანალიზო ტექსტში ყველაზე დიდი ოდენობით საშუალო გვარის ფორმები გვხვდება, როგორც მედიოაქტივები, ისე მედიოპასივები:

და შენ ჩემ სულში რომ არ **სცხოვრებდე** („ოპ თუმც ხანდახან“, 2173/145).

ანალიზმა ცხადჰყო, რომ ხელნაწერი გვარის ფორმათა წარმოების მიხედვით თითქმის უგამონაკლისოდ მისდევს თანამედროვე ქართული ენის გრამატიკის ნორმებს. გამონაკლისი კი ზოგჯერ გვხვდება ვნებითი გვარის წარმოების დროს, როდესაც ენიანი ვნებითი იწარმოება ძველი ქართულის მსგავსად და ბოლოვდება ”ებ“-ის მიმდევრობით.

თავისებურებას ავლენს იმაშიც, რომ საზოგადოდ ყველაზე ნაკლები ფორმების მქონე საშუალო ზმნები, აქ ხშირადაა ხმარებული, განსაკუთრებით მედიოპასივები. იწარმოება ყველა სახის ვნებითი და სრულადაა წარმოდგენილი მოქმედებითი გვარის ზმნებიც.

## სერიები და მწკრივები

პოეტი იყენებს ახალი ქართული ენის 11 მწკრივიდან 10 მწკრივის ფორმას, ვერ დავადასტურებთ მხოლოდ III სერიის III კავშირებითის ფორმები:

**აწმყო:** დაუდევნელად დროებას **ვატარებ** („ოპ თუმც ხანდახან“, 2173/145)

როდესაც ტანჯვის საწამლავს სულში / **ვფარავ** და ტკბილად ხალხს **ველიმები** („ოპ თუმც ხანდახან“, 2173/145)

**უწყვეტელი:** შენ **გაშინებდა** აზრი ესე („სამშობლო“, 2173,146).

რა **განსცხრებოდე**, **მხიარულებდე** შაირები, 2173/175).

**აწმყოს კავშირებითი:** და შენ ჩემ სულში რომ არ **სცხოვრებდე** („ოპ თუმც ხანდახან“, 2173/145).

დე მთლად ამ სოფელს **გავიწყდებოდე** („ოპ თუმც ხანდახან“, 2173/145).

ლხინით მოსილი/ უგრძნობელ გროვას **ვევლინებოდე** დე მთლად ამ სოფელს („ოპ თუმც ხანდახან“, 2173/145).

წყლულის გულიდამ არვის **ესმოდეს**; / ოხვრა ჩემმიერ შენდამი მოძღვნილი გაუგებელი / მათთვის **რჩებოდეს** („ოპ თუმც ხანდახან“, 2173/145).

**მყოფადი:** შენსას სახელს **დავიფიცები** („ოპ თუმც ხანდახან“, 2173/145).

მხოლოდ შენ კი ნუ **დაგავიწყდები** („ოპ თუმც ხანდახან“, 2173/145).

ნუ **დაიჯერებ**, რომ იმ ბნელს წუთში / დარდები ჩემი იყვნენ მცირები („ოპ თუმც ხანდახან“, 2173/145).

**ხოლმეობითი:** მას მტვრად **შექმნიდა** ჩემი ხელები („ოპ თუმც ხანდახან“, 2173/145).

რომელსაც ვერ **იგნობდი** და სულაც არ **უყვარდი** (სამშობლო“, 2173/146).

**მყოფადის კავშირებითი:** მაშინ ჩვენებით ჩემის ხატების / შემკრთალი ჩუმით **შეიკვივლებდე** („დიდათ მსურს“, 2173/152).

ფოთოლთ შრიალი **ჩამომასმენდეს** (2173/179).

საყვარლის ხვევნა **დამაამებდეს** (2173/179).

**წყვეტილი:** სიკუდილის წინ სიტყვებმა შენმა მკვლელს **მიუტევა** (სამშობლო“, 2173/146)

...მას ხელში **ჩაუვარდი** (სამშობლო“, 2173/146).

... **შეჰკრთა** თვით მტარვალი ცრემლღვრილი („სამშობლო“, 2173/146).

**II კავშირებითი:** არა, მე მინდა მარად გულგრილი / **ვიყო...** („ოპ თუმც ხანდახან“, 2173/145).

რა **შევადარო** ტურფა ჭრელობით („ბაირონის გაიურიდან“, 2173/145).

სჩქარობენ, ლხინი გლოვად **შესცვალონ** („ბაირონის გაიურიდან“, 2173/145)

ვინ **დაგვაფაროს** ხელიო („ქობულეთური ყანური სიმღერა“, 2173/147).

ეე...თუნდა **წავწყდეთ**, **დავლიოთ** / გურჯებმა ჩხავრის წვენიო („ქობულეთური ყანური სიმღერა“, 2173,146).

**I თურმეობითი:** აქ უგნურობას **აღუდგენია**, ტახტი საზიზღი ძალადობისა („ბაირონის გაიურიდან“, 2173/145).

ადარ **მიჰყოლი ხარ** შენ უსაზღვრო იმედებსა („სამშობლო“, 2173/146).

**გამოგვალულხარ**, **გამხმარხარ** რაზედა გავგიწყერიო („ქობულეთური ყანური სიმღერა“, 2173/147).

**II თურმეობითი:** სად იყო ჩემი ბედი ღვთის ნათელი მენახა/ სად სულში მოთმინება და შური **ჩამემარხა** („სამშობლო“, 2173/146)

## თემის ნიშნები

თემის ნიშნებიდან ვერ დავადასტურეთ „ამ“ და ოფ“ თემისნიშნის ფორმები.

საანალიზო ტექსტში ყველაზე იშვიათად გამოიყენება თემის ნიშნად ”ი“:

**ი:** ”ჰყვირის, იბრძვის, ილანძვება მამულისთვის განწირული“ („ანდერძი“, 2173/143).

**ავ:** ”სუნავს, ლოკავს ეგრე რჩება“ („ანდერძი“, 2173/143).

„მიცურავს, ფრინავს წყალსა მთარღვევს“ („რამიდ ვარდანძე“, 2173/142).

**ემ:** ”ცხენს მათრახს სცემდა, არ დააყენა სანამდის წყალში შეცურდებო-და... („რამიდ ვარდანძე“, 2173/142).

**ებ:** ”მე თუ მოვკვდი, შენ დარჩები... („ანდერძი“, 2173/143).

**ობ:** ”მედგარ გულისთვის არ ვინ სცდილობს... ” („ანდერძი“, 2173/143).

ზოგან სხვაფრივ **დამეძებრობს** („ანდერძი“, 2173/143).

**ევ:** ”ხალხს კუდს უქნევს და ცულლუტობს ” („ანდერძი“, 2173/143).

„და რა მიზღვევთ? - ხალხის წყევა“ („ანდერძი“, 2173/143).

„მიცურავს, ფრინავს წყალსა მთარღვევს“ („რამიდ ვარდანძე“, 2173/142).

აღნიშნულ ხელნაწერში საშუალო გვარის ზმნათა თემის ნიშნებად ყველაზე ხშირად გვხვდება ”ებ“ და ”ობ“. ერთ შემთხვევაში ავტორს ერთი და იმავე სიტყვის ფარგლებში არეული აქვს ეს თემის ნიშნები. იგი უმართებულოდ გამოიყენებს ”ებ“ სუფიქსს, სადაც წესით უნდა იყოს ”ობ“. ასე ხდება ზოგ სხვა შემთხვევაშიც. შედარებისათვის მოვიყვანთ მაგალითებს:

და შენ ჩემ სულში რომ არ **სცხოვრებდე** („ოჰ თუმც ხანდახან“, 2173/145).

თავისუფლება აქ რომ სუფევდა და შემძლებელი ჰანრი **სცხოვრებდა** („ბაირონის გაიურიდან“, 2173/145).

ამდენად, ანალიზმა აჩვენა, რომ ტექსტი თემის ნიშნითა წარმოების თვალსაზრისით ძირითადად იცავს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს. თუმცა ავტორი მაინც ამჟღავნებს თავისებურებას - 1. ეს გამოიხატება თემის ნიშნითა შენაცვლებით, იგი ხან ცვლის თემის ნიშნითა ხმოვანს (ავ-ევ; ამ-ემ ვარიანტები); ხან კი პარალელურ ფორმებში სხვადასხვა ნიშნის იყენებს (ცხოვრობს- ცხოვრებს).

2. შეცვლილი თემის ნიშნითა უმეტესი ნაწილი დიალექტური წარმოების ზმნებს დაერთვის.

## მიმღეობა

მამია გურიელის ნაწერებში ერთ-ერთი ყველაზე ხშირი გრამატიკული ფორმა მიმღეობაა, შეიძლება ითქვას, რომ იგი თვით ზმნებსაც სჭარბობს რაოდენობრივად.

ხელნაწერში მოქმედებითი გვარის მიმღეობის საწარმოებელი ყველაზე პროდუქტიულია: **მ-ელ და მა-ელ** კონფიქსები:

„ეხლა მე დავკარ ჩემი **მკვეთელი**“ („რამიდ ვარდანოლი“, 2173/154).

**მ-ელ** კონფიქსით ნაწარმოები მიმღეობები გვხვდება როგორც მხოლოდით, ისე ნართანიან მრავლობითშიც:

„ტრფიალთა სევდავ გულის **დამწველნი**“ („რამიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„მადლობას სწირვენ მათ მწყალობელსა, ჭია, ფრთოსანი, მხეცი უწყალო, ოთხფეხი, კაცი უტყვი, **მეტყველი**“ („რამიდ ვარდანოლი“, 2173/154).

ტექსტში ნაკლებად დასტურდება **მა-ელ** კონფიქსი:

„ღმერთი სოფელს უგზავნის **მახარობელსა**“ („რამიდ ვარდანოლი“, 2173/154).

ყველაზე პროდუქტიულ ვნებითი გვარის საწარმოებლად გვევლინება **-ულ** სუფიქსი და საერთოდაც, უფრო ხშირია ვნებითი გვარის წარსული დროის სუფიქსური წარმოება მხოლოდით და მრავლობით რიცხვში:

„თუ გონებაა მისი **დახშული**“ („რამიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„მამინ მეფე ეგ თვით **შეძლებული**“ („რამიდ ვარდანოლი“, 2173/154).

წარმოების სინხირით **”ულ”** სუფიქსს მოსდევს **”ილ”** სუფიქსი, ისიც აწარმოებს წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობას:

„სელისა ზურგზე გადაწოლილი“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).  
„გოგო დაღალდა ფეხზე დგომილი“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).  
„რომ ვინმე ჭაბუკს სახელგანთქმულსა / სმენოდეს ჩემი გარემოება“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).  
„და სცნობისა მას ნდომით აღძრულსა / სწადდეს ამ გულის ტყვედ მოტაცება“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

წარსული დროის ვნებითი გვარის პრეფიქსი **”ნა”**  
მონა ლესია მედგრად **ნახმარი...** („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).  
ვნებითი გვარის მიმღობის უკუთქმითი ფორმა **”უ-ელ”**:  
„ეგ არის ყოვლად **შეუძლებელი**“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).  
**„გაურჩეველი** სად არის ჰანგი?“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).  
მიმღობას აწარმოებს **”მ-არ”** ან **”მ-არე”** კონფიქსი:  
„დე ნუ აღვიძებ მაგ ლომს **მძინარეს**“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).  
„მხეცების მეფეს ძლიერს **მძვინვარეს**“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).  
ამრიგად, საანალიზო ტექსტში ხშირია მიმღეობური ფორმები, ძირითადად ვნებითი გვარის წარსული დროის სუფიქსური წარმოებაა გაბატონებული. ყველაზე პროდუქტიულია აღნიშნული გვარის წარსული დროის საწარმოებელი სუფიქსი **”ულ”**. შედარებით ნაკლებია მოქმედებითი გვარის მიმღეობიანი ფორმები და ყველაზე იშვიათად საშუალო გვარის ფორმები დასტურდება.

### ზმნიზებები

მამია გურიელი ზოგჯერ ზმნისართებს იყენებს ძველი ქართულის ფორმებით: და ჩვენის ერის მგრძნობელობა **ისრე** არ წარხდეს, /რომ არ გიწოდონ შენ პირველი მათში ქართველი (ჩემო კახაბერ 2173/139).  
ოხვრით, ცრემლებით და ვაებითა / თავს ნუ იწუხებ, ნუ დამავალებ, **მხოლოთ** კი მტანჯე, მარად ვნებითა, ნუ შემიბრალებ, ნუ შემიბრალებ... (ს.ე. 2173/140).  
**მინამდისინ** გამომღება, / შემდეგ მოზდის რაღაც რული! (ანდერძი, 2173/143)  
შესწუხდა **ძრიელ** და გაუკვირდა („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

### ტექსტის სინტაქსური ანალიზი შედგენილი შემასმენელი

შედგენილი შემასმენელის წარმოებისას ტექსტის ავტორი ძირითადად ეყრდნობა ძველი ქართული ენის ნორმებს. ძველ ქართულში კი ამგვარი კონსტრუქციის ზმნად გამოყენებულია: არს, იყო, ქმნა.

ტექსტში არს ზმნა გამოყენებულია ერთხელ, ორჯერაა გამოყენებული **”იყო”**, თითო-თითო **”აქუს”** და **”არის”** მეშველი ზმნები.

მრავალფეროვანია შედგენილი შემასმენელის სახელადი ნაწილი, ტექსტში ყველაზე ხშირად სახელად ნაწილად გამოყენებულია ნაცვალსახელი.

სახელად ნაწილად არსებითი სახელია: „თუ **გონებაა** მისი დახშული, ეს ნიჭიც ცათა გასაკვირველი“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

სახელად ნაწილად ზედსართავი სახელია: „**დაუთვლელია** ყოველ სოფელში“ (2173/179).

სახელადი ნაწილი ტექსტში სხვადასხვა ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი:

**წრფელობითი**: შენი გული **დაბმულ არს** (2173/179).

**სახელობითი**: მაგრამ მკვდარია მაშინ **გონება** (2173/179).

ტექსტში **”არს”** ზმნა ხშირად იკვეცება და რჩება მხოლოდ თავკიდური **”ა”**, რომელიც ჩვეულებრივ სახელად ნაწილს ეკედლება:

„სნება, თვით ჟამიც **სანატრელია**“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„რაც რამ კი მცირედ **საგრძნობელია**“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„თუ გონებაა მისი დახშული, ეს ნიჭიც ცათა გასაკვირველი“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„ის უმისოთაც მშვენიერია“ (2173/179).

ამგვარად, საანალიზო ხელნაწერში უხვად არის გამოყენებული შედგენილი შემასმენელი. რასაც ვერ ვიტყვით ამგვარი შემასმენლის მეშველი ზმნის მრავალფეროვნებაზე, რადგან ამ ფუნქციით, ორიოდ გამონაკლისის გარდა ძირითადად გამოყენებულია მეშველი ზმნა „არს“.

ზოგადად კი, შედგენილი შემასმენლის წარმოებისას, ხელნაწერი ზოგ შემთხვევაში აბსოლუტურად ძველი ქართული ენის მონაცემებს ეყრდნობა. ზოგჯერ კი ახალი ქართულისას ითვალისწინებს, მაგალითად: შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის გამოხატვის დროს.

### განსაზღვრება

მამია გურიელის ნაწერებში საკმაოდ მრავალფეროვანია განსაზღვრების სახეები. ყველაზე ხშირად იგი პასუხობს კითხვაზე „როგორი“?

„ახ თუ დაეცა მწარე სიყმილი“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/137).

„ვისთვის გატანჯულს სიცოცხლეს ვკრძალავ“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/137).

„და აი ისევ ისინი ნაცნობი ადგილები“ („სამშობლო“, 2173/146).

„ცხელის ცრემლებით აევსო თვალი“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/137).

„შენ ერთგულო უცხო მიზანო“ („ოჰ თუმც ხანდახან“, 2173/145).

„ძვირფასს შენს აჩრდილს ისევ შევხვდები“ („ოჰ თუმც ხანდახან“, 2173/145).

„სადა თავის უნაყოფოს დღეებს ჩემი მამები ატარებდნენ უაზრო ამაყის ქვიფებით წვრილი ტირანობით და გასვრილი გარყვნილებით“ („სამშობლო“, 2173/146).

„საწყალი ბრმა მთავრობა / ხშირად გულით მაციონებს“ („ძველ მოყვარეს“, 2173/71).

თუ განსაზღვრებად გამოყენებულია ნაცვალსახელები, რომლებიც სიმრავლეზე მიუთითებენ, მაშინ მსაზღვრელი მხოლოდობით რიცხვში უნდა იდგეს. ხელნაწერში კი ეს დარღვეულია:

„მარცხნივ პატარა სტოლი დგას რომელზედაც აწყვია რაოდენიმე წიგნები ორი რუმკა და ცარიელი ღვინის ბოთლი“ („პიესა ორი ამხანაგი“, 1616/174).

„ჰვარვენ შენ სახეს ჩემ გონებაში“ („ოჰ თუმც ხანდახან“, 2173/145).

„ძვირფასს შენს აჩრდილს ისევ შევხვდები“ („ოჰ თუმც ხანდახან“, 2173/145).

„მარტო გულში ვზრდი ჩემსა დარდებსა“ („ოჰ თუმც ხანდახან“, 2173/145).

„.. დაბინდოს / ჩემს ოცნებებში შენი ხატება“ („ოჰ თუმც ხანდახან“, 2173/145).

„მას მტვრად შექმნიდა ჩემი ხელები“ („ოჰ თუმც ხანდახან“, 2173/145).

„კაპიტნები გამოცდილნი უჯავრდება მატროსებსა“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/142).

სუბსტანტიური განსაზღვრება გადმოიცემა ნათესაობით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელით ან იმავე მნიშვნელობით გამოყენებული სხვა მეტყველების ნაწილით:

„თუ ხშირი იყო კაცთა სიკვდილი“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/137).

„ხმა ვედრებისა სულაც არ ესმის“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/137).

„იმ სამარის მსგავსს მდუმარებაში, ვეძახი ყოველს მონუგეშესა“ („ოჰ თუმც ხანდახან“, 2173/145).

„ის ურცხვი ჭია ნეხვისა, უპირწყლო, უზნეურიო“ („ქობულეთური ყანური სიმღერა“, 2173/147).

ანალიზმა ცხადჰყო, რომ ხელნაწერი მრავლად იყენებს განსაზღვრების ყოველგვარ ფორმას. აქ არის როგორც ატრიბუტული, ისე სუბსტანტიური განსაზღვრება, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება პრედიკატული განსაზღვრებაც. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი უმეტესად მრავლობით რიცხვში დგას.

### უბრალო დამატება

უბრალო დამატება ხელნაწერში მეტად მრავალფეროვანია ფორმისა და შინაარსის მიხედვით. იგი ახლავს ზმნას ან ნაზმნარ სახელებს:

უბრალო დამატება ტექსტში შეგვხვდა ყველა იმ ბრუნვაში, სადაც შეიძლებოდა მდგარიყო.

#### **უბრალო დამატება მიცემითში:**

„საქმე მეტათ გამიჭირა, / ბრიყვ-თამამა იგი კაცმა / მუხლი მუხლზე მომაჭირა“ („სამშობლო“, 2173/152).

„შეგვხვდა ჩემს კავალერსა / ვაიმე, **ფეხზე** ვერ დგებოდა“ („სამშობლო“, 2173/152).

„გაწოლილთა წარბებს **შუბლზე** / ვინ აგიწერს, ვინ დახატავს“? („სამშობლო“, 2173/152).

„გამაზმორებს თითქო ტანზე / ჭიანჭველა მიხობთება“ („სამშობლო“, 2173/152).

**”თანა”** თანდებულისანი უბრალო დამატება:

„ჩლოქოები ჩამოსცვივა, / ამ საძაგელ სნება-ჟამსა, / და ვირი - **ვირებთან** მივა“ („ე.ს.“, 2173/152).

„ოცი წლის **ყმაწვილთან** იყო / დაემზგავსო მელასაო“ („სამშობლო“, 2173/152).

#### **უბრალო დამატება ნათესაობითში:**

ნათესაობით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატების თანდებულად ყველაზე ხშირად გამოყენებულია ”გან”:

„ამ ჩვენი შემწე, მეოხი, / **ჭირთაგან** გამომხსნელო“ („ქობულეთური ყანური სიმღერა“, 2173, 152).

„თითქო რაღაცა ფიქრები / ულხენდნენ **მზისგან** დაგულსა“ („ქობულეთური ყანური სიმღერა“, 2173, 152).

შეგვხვდა უბრალო დამატება ”თვის” თანდებულისანი სახელებით გადმოცემული:

„**ბედკრულისთვის** არ ვინ სცდილობს“ („ე.ს.“, 2173/152).

„**მამულისთვის** განწირული მინამდისინ გამოძლება“ („ე.ს.“, 2173/152).

#### **უბრალო დამატება მოქმედებითში:**

„სადა თავის უნაყოფოს დღეებს ჩემი მამები ატარებდნენ უაზრო ამაყის ქეიფებით წვრილი ტირანობით და გასვრილი **გარყვნილებით**“ („სამშობლო“, 2173/146).

„მოდით ცუნდლუტო დიპლომატებო, / სახელგანთქმულნო **უსირცხვილობით**“ („ე.ს.“, 2173/152).

„**ბრძოლით, გაბედვით** მარტომ ვერ რა ვჰქმენ“? („სამშობლო“, 2173/152).

„გამეხარდა, დაუარე / მომეწონა ჩემი ბედი / **სიფრთხილით** თავს მოუარე“ („სამშობლო“, 2173/152).

**უბრალო დამატება ვითარებითში** ყოველთვის უთანდებულოა, დაესმის კითხვა რად? ასეთი უბრალო დამატება მეტწილად გვხვდება ისეთ ზმნებთან, რომლებიც აღნიშნავენ გარდაქცევას, გარდაქმნას, ცვლილებას.

„ისევ მეწვივნენ ის ოცნებები, / რომელთაც, მახსოვს ვითომც **ტყვედ** ვყავდი“ („სამშობლო“, 2173/152).

„მას **მტვრად** შექმნიდა ჩემი ხელები“ („ოჰ თუმც ხანდახან“, 2173/145).

ამრიგად, უბრალო დამატება საანალიზო ტექსტში გვხვდება როგორც თანდებულის, ისე უთანდებულოდ. მიცემით ბრუნვაში გვხვდება როგორც ”ზედა”, ისე ”ზედ” ფორმები.

### **რიცხვში შეთანხმების საკითხები**

ლექსებსა და პოემაში ზოგჯერ დარღვეულია რიცხვში შეთანხმების საკითხი:

**სამიოდ** კარგი გასათხოვარი **ქალები**, რომლებიც იმ ყმაწვილს ახდეს და უარი სთქვა ( 2173/175).

მოგვხსენებათ, კუჭებ-სამხებ შერმანების **ქალები არ იმალება** ( 2173/175).

### **ხელნაწერის ლექსიკური ანალიზი**

#### **ბარბარიზმები**

მამია გურიელის ლექსებსა და პოემაში გამოიყენება ბარბარიზმები, ძირითადად რუსული ენიდან შემოსული, მაგრამ ბარბარიზმების ხმარება არ არის ხშირი. საინტერესოა ისიც, თუ როგორ აქცევს მ. გურიელი უცხო ენის სიტყვებს ქართული ენის ყალიბში, სვამს ბრუნვებში და რუსულ სიტყვებს მრავლობითი რიცხვის ქართულ სუფიქსებს ურთავს:

„თუ იშოვნა მსაჯულობა (**სუდაობა**), ან მაზრისა გახდა ბეგი“ („ანდერძი“, 2173/143) .

„ეს იყო ვიღაც **პოლშელი** პანი“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„ინდოეთს ებრძვის, **პოლშას** ტანცაობს / ხან ღვინოსა სომს კახეთის ბაღში“ („სნეული“, 2173/50).

„და თუ რამ გამიგია/ გამცნო, ვიხმარო **პერო**“ („წერილი საყვარლისადმი“, 2173/135).

„მარცხნივ პატარა **სტოლი** დგას რომელზედაც აწყვია რაოდენიმე წიგნები ორი **რუმკა** და ცარიელი ღვინის ბოთლი“ („პიესა ორი ამხანაგი“, 1616/174).

„გარედან **დაგიკლუტ** კარს“ (პიესა, 2173/174).

„ასე მხოლოდ **მაშენიკები** ირჯებიან“ (პიესა, 2173/174).

„**ფორტიდან** პოვესტკა მიიღო“ (პიესა, 2173/174).

ავტორმა რუსული ბარბარიზმები ჩასვა ქართული ენის ბრუნვებში და დაურთო ბრუნვის ნიშნები:

„ამ ოხერმა **პრაჩკამ** მიხვდა რასშიდ მდგომერეობს საქმე“ (პიესა, 2173/174).

„ეს **კავკაზის** შვილს არ გეკადრება“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„ჰა, ვიღებ **სტაქანს** სიამოვნებით“ („ზეპირი სადღეგრძელო“, 2173/84).

„როცა სვამ ღვინოს, / და **ზალხოშათ** ხარ“ („ტელემაკს“, 2173/143).

„მოდო **აკტიორებათ** შევიდეთ!“ (პიესა, 2173/174).

ასევე ხშირია ბარბარიზმებთან ქართული ენის თანდებულების გამოყენების ფაქტები:

„წიგნი **ფორტაში** წავიღე საგზო **პაკეთში** გავხვიე“ („წერილი კოლხიდელისადმი“, 2173/121).

„ჩაკეტილი სადმე **სტოლში** / დიდი ხნით დავიწყებული“ („მ“ ..., 2173/77).

„მე **აკოშკაში** შამოველ თქვენი ამხანაგის შემწეობით“ (პიესა, 2173/174).

ამდენად, საანალიზო მასალიდან აშკარად ჩანს, რომ ტექსტში არსებული ბარბარიზმი არ არის მხოლოდ უცხო ენიდან აღებული, შეუცვლელად გადმოტანილი სიტყვები, ისინი შეცვლილი, დამახინჯებული სახითაა წარმოდგენილი, ჩასმულია ქართული ენის ყალიბში და მიღებული აქვს ქართულისათვის ბუნებრივი დაბოლოებანი.

### დიალექტიზმები

ძველი ქართული სალიტერატურო ენა ემყარება მტკიცედ ჩამოყალიბებულ ნორმათა სისტემას. ამასთან ფაქტია ისიც, რომ ძველ ქართული წერილობით ძეგლებში თავს იჩენს ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები, ანუ დიალექტიზმები.

არც ერთი წერილობითი ძეგლი არ არის დაზღვეული მასში ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმების შეჭრისაგან. ეს მოვლენა უცხო არ ყოფილა ძველი ქართულისათვისაც და რა გასაკვირია, თუ XIX საუკუნის ხელნაწერშიც შეგვხვდეს.

მამია გურიელთან აღინუსხება ცოცხალი მეტყველებისათვის ნიშანდობლივი ფორმები, ძირითადად ერთი და იმავე დიალექტიდან აღებული და ხშირად გამეორებული. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

„გაჰვანტა, მიჰყვა, **ჯგლითხე** მიჰყარა“ („გრიგოლეთი“, 2173/137).

„გაჰვრინდნენ ზღვაზე უცხო ნავები / **ზორიოსაგან** მიტაცებული“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154)

„მაგრამ საბრალო ატყობს **დაღალდა**“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154)

„ვნებითა სთრთიან და ცეცხლის **პერწკლებს** / ისრისა ნაცვლად სტყორცნიან ცაში“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„ბუჩქში კურდღელმა შეშინებულმა / ორივე ყურები **ააცქმატუნა**“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„ცის კიდის ახლოს **მოსჩანა** ნავი“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„ვით ტკბილ სასმენი ყეფა ბულბულის / ფრთხალსა **შიშენეულს** გაამხნევებდა“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„იმერის ჰაერი, მიწაც კი **ფშყივა**“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„მათი მოთავე ყველას წინ **ასწრობს**“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„გვერდით **დამისო** პატივი მომცა“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„იმის ნაცვლად რომ **ჯაბრსა** იყრიდე“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„**გაგიშო** ეხლავ შინ გაგისტუმრო“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„ოდონდ უბრალოდ **გეხუმბრეთ**“ („შაირი“, 2173/107).

„ვაგებთ ვაგებას მოავლენს, შურს **ძიობს**“ (2173/176).

-ავ და -ამ თემისნიშნისანი ზმნები I სერიის სავრცობიან მწკრივებში გამოავლენენ - ევ და -ემ ვარიანტებს:

„ყავასა **სომენ** დერვიშ-ვისია“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„ხშირად **სომს** ჯიხვით რვა ცხრამდის/ მთვართ მოყვასთ წასაუბრება./ მე წინააღმდეგ ამისა, / არცა ვსომ, არც ვის ვაძალეზ“ („ტელემაკს“, 2173/145).

„ქალწულებრივმა **გოუთქავს** ლოყებსა“ (პიესა, 2173/174).

ერთ მაგალითში -ავ თემის ნიშნის ნაცვლად გამოყენებულია -ამ:

ზ. სარჯველაძე ვარაუდობს, რომ -ევ და -ემ ბატონდება პირველი სერიის მწკრივებში აღმოსავლეთ ქართულ დიალექტთა ერთ ჯგუფში (ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 112), ხოლო -ობ//-ებ თემის ნიშანთა შენაცვლება ავტორისეული ჩანს.

„არ **ელალება** ქნევით მკლავები ტკბილის მიზეზით გახურებულ“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„ძირს ჩამოახეთქს ქაფ მოდებული ბნელთა უფსკრულთა **მიარონინებს**“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

„ბიჯ მიწას არ **უტიებს**“ („ძველ მოყვარეს“, 2173/73).

”დამ“ მოქმედებითი ბრუნვის თანდებულია. წერილობით ძეგლებში თავს იჩენს XIX საუკუნიდან. ხელნაწერში დასტურდება ”დამ“ თანდებულის დიალექტური ვარიანტი ”დამა“:

„ნუ შემობრალეზ, თუმცა **სიყრმიდამ** / ჯერ არ მინახავს სიამოვნება“ („ს...ე..სა“, 2173/152).

„ერთხელ დილით ტკბილის ძილით / **საწოლიდამ** წამოვარდი“ (ახალ შაბრალებულს შაირებით, 2173/153).

რამდენიმე წინადადებაში გვხვდება ნაწილაკი **ჯერ** დიალექტური ვარიანტით **ჯერეთ**: „იმ დროს როცა თვალს ჯერეთ ყვავილი რომ არ დაუნახავს, ელის კი ბევრსა?“ („რაშიდ ვარდანოლი“, 2173/154).

საინტერესოა მამია გურიელის მიერ ჩაწერილი ძველი ქართული თვეების სახელები ახალწლობა (იანვარი), თოვლობისთვე (იგივე იანვარი), გიჟობის თვე (თებერვალი), მწყიფობისთვე (აპრილი), ვარდობის თვე (მაისი), თიბათვე (ივნისი), მკათათვე (ივლისი), ხილობისთვე (აგვისტო), მწყიფობისთვე (ოქტომბერი), ღვინობისთვე (ნოემბერი) (2173/172).

ცალკე ფურცელზე გაკეთებული აქვს ჩანაწერები გრამატიკულ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ, „ურიგოთ ნახმარები ჰაიე შემდეგ სიტყვებში: მიჰხედა, ჰლადადებს, ჟლაპარაკობს, ჰახნავდეს, გაჰმართა, ჰბეჭდავდა, ჰლეუდა სულსა, აჰრჩომოდა, შეჰხარინ, აჰფხიკოთ, ჰსურს, ჰლაპარაკობს, ჰლამის, მიჰმარჩია, ჰხედავს, ჰზირას, მიჰხედრნია, ჰხარჯავს, ჰმარხავენ, ჰთხოულობს, ჰჩხუბიო, დაჰხარჯა, ჰბედავს, გაჰბედა (რვეული 39, 2173/172).

„ამისგან წარმოსდგა სიტყვა „ღვდელი“.ე.ი. მხდელი, გამხდელი და შემდეგ ხმარებისაგან ამ სიტყვისა გადავიდა სიტყვა მღვდელზე: მხდელი, გამხდელი, ღვდელი (რვეული 39, 2173/172).

მოყვანილი მაგალითები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ვარაუდს, რომ არც ერთი ხელნაწერი ძეგლი არ შეიქმნებოდა ისე, რომ მასში არ შეჭრილიყო ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი სიტყვები. გამონაკლისს არც ჩვენი საანალიზო ხელნაწერი წარმოადგენს. მით უმეტეს, რომ იგი XIX საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება და საკმაოდ დიდი დამორებაა ძველი ქართულის ნორმირებული სისტემიდან; და კიდევ გასათვალისწინებელია ისიც, რომ იგი წარმოადგენს პოეზიის ნიმუშებს, ამდენად, უფრო თავისუფალი ნაშრომია, ვიდრე პროზა. ჩვენი ვარაუდით, აქ არსებულ დიალექტიზმთა დიდი ნაწილი დასავლეთ საქართველოს კუთხური

მეტყველების ნიმუშია. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ავტორი, მამია გურიელი წარმოშობით გურიიდან არის და ცხოვრების დიდი ნაწილი იმერეთში გაატარა. ამიტომ მის პოეზიაში გამოიყენებდა მისი კუთხისათვის დამახასიათებელ დიალექტიზმებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერში კუთხური ფორმები არც ისე ხშირად გვხვდება, როგორც მოსალოდნელი იყო. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ხელნაწერის სიდიდე.

**საკვანძო სიტყვები:** მამია გურიელი, ქუთაისის მუზეუმი, ენობრივი ანალიზი

**Manana Mikadze**

Akaki Tsereteli State University

Kutsisi, Georgia

e-mail:manana-mikadze@rambler.ru

ORCID 0000-0001-8490-4813

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.27>

## **Linguistic analyses of the #2173 manuscript saves in Kutaisi museum**

### **Abstract**

Kutaisi historical-ethnographic museum is rich with its manuscripts, and the manuscript is the national treasure. We are going to analyze a prayer book (# 365), which author is Iona Gedevanishvili.

The prayer book with the size of 15X105, written on paper, bound in the embossed leather cover, written in Mxedruli , titles in red ink, the monument of the II half of the XIX century, incomplete and damaged, comes from Akhvlediani's family.

Specific linguistic norms characteristic to average Georgian was expected in the manuscript. The ancient Georgian norms prevail in it. Scribe is fluent and to put it into practice is not hard to find, and the influence of the Modern Georgian that was not inculcated is still strong. Лексические анализ рукописи сохраняет в Кутаиси музей

**Keywords:** Mamia Gurieli, Kutaisi Museum, linguistic analyse